


# მარტინი

მწყემსმან კეთილმან სული  
ოვისი დაჭავის ცხოვართათვის  
იოან. 10—11.



№ 23

1883—1908 წ.

15 ღეგემი ქრი

ზ 0 6 1 1 6 0.

სალიტერატურო განცხადილება: აკაკის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობა თფილისში 7 დეკემბერს  
1908 წელს.—პირველი ნაბიჯი მღვ. ი. ლუკიანოვისა.—ერმალ-გაზ-ტებიდან — ახალი ამბები და შენიშვნები.  
სრავლა და მიცნობილი რჩის თითანობრივ სარაზულოებას და კეთილ-ზეოობაზე:— სახარება იოანნესი, ა. 3,

კარის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობა  
თფილისში 7 დეკემბერს 1908 წელს.

7-ს დეკემბერს შესრულდა ისეთი ეროვნული დღესასწაულობა, რომლის მსგავსი ჩვენს საქართველოში არც მომხდარი, და საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ოდესშე მოხდეს. მართალია ხანდისხან ხალხიც ბევრი იქრიბება დღესასწაულობაზე და ბერს სიამოვნებასაც აცხადებენ, მაგრამ გულწრფელობა ისეთი როგორიც ამ დღესასწაულობაზე პქნდა ყველას სწორეთ შეუძლებელია. ეს დღესასწაულობა გამოიწვია აკაკის 50 წლის იუბილეის დღესასწაულებამ.

თუმცა კალმით დადაცემა ყველა იმისა, რასაც გრძნობდა კაცი ამ დღესასწაულის შემხედვარე შეუძლებელია მაგრამ ვეცდებით რაც შეიძლება მოუთხრათ მკითხველს ნანაზი და ნათქვამი.

დილის 10 ნახევარ საათზე მგოსნის ბინაზე, გიორგი ყაზბეგის, მეთაურობით, თავი მოიყარეს სადღესასწაულო კომიტეტის წევრებმა, წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენლებმა, ქართველმა მწერლებმა, მოღვაწეებმა, პედაგოგებმა და სხვებმა. მგოსანი ჩასვეს თეთრ ცხენებით შეგმულ ლანდოში. გვერდით უჯდა წერა-კითხვის საზოგადოებისა და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი

ყაზბეგი. ამ ლანდოთი იუბილიარი სიონის ტაძარში წაბრძანდა. თან ეტლებით მრავალნი გაჰყვნენ — კომიტეტის წევრი, აქაური და ჩამოსული დეპუტატები და სხვები. ამ დროსთვის ხალხი უკვე შეკრებილიყო ქუჩებში და ყველგან აკაკის სალმს აძლევდნენ.

სიონის ტაძარში ეპისკოპოსმა დავითმა ტფ. ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით გადაიხადა წირვა, შემდეგ მგოსნის სადღეგრძელოდ პარაკლისი. წირვის დასრულების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მ. ტყემალაძემ,

აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ნუ დაივიწყებ ყოველსა მოცემულსა მისსა (ფს. 102,2)

ბევრ სხვათა კარგ მხარეთა შორის ერთი ძლიერ მოსაწონი და დიდათ სასარგებლო თვისება მიუცია ღმერთს ადამიანისათვის. ვგულისხმობ იმ გრძნობას, საქციის კაცისას, რომლითაც იგი მაღლობას უძლვნის, სწირავს ღმერთს და აგრეთვე თავის მოყვასს რამე სიკეთის მიღებისათვის მათგან. რამოდენადაც მაღლა სდგას რომელიმე პირი განათლებით, იმდონათ უფრო ძლიერია მასში ეს გრძნობა და ვისაც ქს თვისება აკლია, ცხოველზე დაბლა დასაყენებელია იგი. ამისათვის დღევან-

დელი ეს შეკრებილება, დღევანდელი დღესასწაული ყოველ შეგნებულ ქართველის გულს ახარებს და ოლაფრთოვანებს. რისთვის შეკრებილვართ ჩვენ აქ, ამ დიდებულ უძველეს ტაძარში? რა ამბავია, რა გრძნობას გაუტაცნივართ ამოდენა ხალხი, რას შეუერთებივართ ამერ—იმერნი? სწორეთ იმ სათნოებას, რომელზედაც მოგახსენებდით, ე. ი. გვსურს მადლობა შეცსწიროთ ყოვლად მოწყალე ღმერთს, რომელმაც მოგვანიჭა ისეთი მოჭირნახულე, მამულისათვის თავდადებული მგოსანი, რო- რიც ბრძანდება ბატონი აკაკი. ჰე! განა ან ძალა შემწევს, ან დრო და ოდგილია განა ახლა დაწვრილებით, თვალსაჩინოთ ყველასაცვის ჩამოვთვალო, თუ რით ისახელა თავი ამ პირში, რითი შეაყვარა თანამემამულეთა თავი, რითი მოუხიბლა მათ გული? არა, არა და არა. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, თუ არ ვსცდები, რომ უმთავრესი, უძლიერესი გრძნობა, რომელიც მას ასულდგმულებდა, ალფრთოვანებდა და რომელსაც იგი ემორჩილებოდა ყოველთვის და ყოველგან მთელი ორმოცდა ათი წლის განმავლობაში, არის სიყვარული — სიყვარული სიმართლისადმი, მამულის და მოყვასისადმი. გატაცებული ამ წმიდა გრძნობით დიდებული მგოსანი ჩვენ წინაშე არ როგორ ფიცავს: „ენა გამიქვავდეს, მარჯვენა გამიხმეს, თუ სიმრედით სიმთ გაუდერ; ჩემი გული არ შედრება, გინდ ქვითაც დაიქოდოს.“ ნუ იფიქრებს ვინმე, რომ ეს ცარიელი, ლიტონი სიტყვებია; არა, შან საქმითაც დაგვიმტკიცა და მით გახდა ჩვენთვის სათაყვანებელი. ვინ არ იცის, რომ აკაკი მუდამ უამ თავგანწირულად იბრძოდა სიმართლისათვის? ვის შეუჩჩენებია მასში სულმდაბლობა, უპირობა და პირმოთნეობა? ვინ იტყვის, რომ როდისმე მას შავი თეთრად აღერებინოს და თეთრი — შავათ? ამნაირ საქციელს ის ყოველ კაცში უარს ჰყოფდა და ჰგმობდა. სამშობლოსადმი სიყვარულს ხომ პირველი ადგილი ეჭირა ამ დიდებულ მგოსნის გულში: მას შესწირა მთელი თვისი სიმღილრე, და სიმდიდრეს მისას, ვინ არ იცის, რა შეადგენდა? სული და გული. ვიმეორებ ეს სიმდიდრე მან სავსებით შესწირა მსხვერპლად სამშობლოს, რომელიც შეადგენდა მის ტაძარს. ვინ იტყვის, რომ ბატონ აკაკის პირადის სარგებლობისათვის. სამშობლო- სათვის ემტყუნებიოს? რაც შეეხდა მოძმისადმი

სიყვარულს, მგონი საკმარისი იქმნება, თუ მისგან წარმოთქმულ სიტყვებს განვიმეორებოთ; „მიმარტვის, გისაცა თავს ედგა ეპლის გვარგვინი ახლისა ადგემისა... ჭირში და ლხინში უფეხლთვის შენს მოძმებზე იფაქ- რე; გისაც ეს წილად გებია, ბედისგან ის არის ნეტა- რი, სახაგა ლთ; და ფარ კაცს ურგებსა, მას ბეჭდი ადგა უბენი და წევეგა საშვილიშვილი.“ აი რა უმთავრეს აზრებსა სთესლა ქართველ საზოგადოე- ბაში ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი საყ- ვარელი მგოსანი.

ბატონი აკაკი! ამნაირმა თქვენმა მოძლორებამ დიდი გავლენა იქონია ქართვე კაცის გულზე და უპვდავ ჰყო ჩვენ შორის თქვენი სახელი, რომე- ლიც ბრწყინვას და იბრწყინვებს ვითა მარადის დაუქრობელი ლამპარი. თქვენგან სამშობლომ ჯე- რი მიიღო და დღეს, როდესაც სრულდება ორ- მოცულა ათი წელი, რაი იღვწით თავდადებულათ თანამემამულეთა განვითარებისათვის და სამშობ- ლოს მწერლობის ლორძინებისათვის, საქართვე- ლოს ყველა კუთხეებიდან შეკრებილან წარმო- მადგენელნი, რათა ვადაგიხადონ ქართველი ერის სახელით ულრმესი, გულწრფელი მადლობა და გან- გიცხადონ უზომო თანაგრძნობა და სიყვარული. ვიცი თქვენთვის ასეთი ჩვენი ქცევა სასიამოვნოა, არა მისოვის, რომ თქვენი თავმოყვარეობა ვითომც ამით კმაყოფილდებოდეს, არამედ მიტომ, რომ ამ წამს ჩვენში, ჩვენ ქცევაში ხედავთ თქვენი თვალით, რომ თქვენი და თქვენთა მზავსთა წყალობით, მეცადინებით ქართველ ერს მოშორებია, ცოტა მაინც არის, ბურუსი, ჯანყი, ნისლი უმეცრებისა და მოპოვენია მას ნათელი. თუმცა ბეჭრი ვაის მნა- ხელი სართ და ბეჭრი უის გამგონე და კიდევაც მო- გვიხუციდი, მაგრამ თქვენი გული ისევ გულობს და დღესაც არ გვაკლებს ჩვეულებრივ სიმთა უღერას. იცოცხლეთ მხოვანო მგოსან კიდევ დიდხანს ჩვენ საღიძებლათ და სამშობლოს ძეგლათ.

შეგწირავთ რა შენ, უფალო ყოვლისა მპყრო- ბელო, მადლობას მოცემულ ნიჭისათვის, გულმხურ- ვალეთ გევეღლებით ხანგრძლივ ჰყო კიდევ მისი ყოფნა ჩვენ შორის და ჩვენ ბედკრულ სამშობლოს ბევრი მისცე კიდევ ამისთანა.

პარაკლისის შემდეგ გრძნობიერის სიტყვით მიმართა იუბილიარს ეპისკოპოსმა დავითმა და მიულოცა დღესასწაული ხატის მირთმევით.

## X აკაკი როსტომის ძებ!

მოგონე ის დრო. ოცუა შენ გამოხველი ცხოვრებისა და კერძოდ მწერლობის ასპარეზზე; გაიხსენე, თუ როგორი იყო მაშინდელი ქართველი საზოგადოება, რას ესწრაფოდა იგი, რა რიგ ფართო იყო იმისი მსოფლმხედველობა?

აწ წარმოიდგინე ახლანდელი ქართველი საზოგადოება, იმისი ცხოვრება, მიმართულება, ცნობიერება.

ხედავ თუ არა განსხვავებასა მაშინდელ და აწინდელ ქართველებს შორის? არ შევცდები, თუ ვიტყვი—ხედავთ.

ქართველნი წარმატების გზაზე სდგანან, წინწინ მიდიან, თუმცა კი, სხვა და სხვა გვარ დამაბრკოლებელ მიზეულისა გამო, ნელის ნაბიჯით. ჩვენს ცხოვრებაში არის უტყუარი ნიშნები იმისა, რომ სულიერი შემოქმედებითი ძალა გვემატება. ბევრი ნაკლულევანებანი გვაქვს, მაგრამ მაინც კულტურული ზრდა გვემნევა. აბა რას მოწმობს ეს ბრწყინვალე კრება ქართველთა, თუ არა მათს განვითარებასა!

გიხაროდეს, მეოსანო!—შენი საყვარელი ქართველი ერი იმართება. გიხაროდეს!—შენი სურვილი სრულდება, შენმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, ქართველი ერი იფურჩინება.

გიხაროდეს!—ქართველმა საზოგადოებამ შენი მოღვაწეობა დააფასა და მხურვალე მადლობასა გშირავს.

ამ სასიხარულო საერო დღესასწაულში მონაწილეობას იღებს ტფილისის ქართველი სამღვდელოებაც და თვისის პატივისცემის გამოსახატავათ მოგართმებს აი ამ წმ. ხატს.

11<sup>1/2</sup> საათი იქნებოდა მეოსანი მრავალის დებუტატებისა, სამღვდელოებისა და ხალხის თანხლებით სიონის ტაძრიდან გამობრძანდა. აქ, სიონის ტაძრის წინ, შეკრებილი ხალხი იუბილიარს მიეგვება ტაშის ცემითა და „ვაშა“ ძახილით. თითქმის ასამდე ეტლი მისდევდა იუბილიარის ლანდოს. ამ დროსთვის გოლოვინის პროსპექტზე, განსაკუთრებით სახაზინო თეატრის წინ, დიდალ ხალხს მოეყარა თავი. გამოჩნდა თუ არა იუბილიარი, გაისმა „ვაშა“. მეოსანი ეტლიდან სალამს აძლევდა ჟველას. სახაზინო თეატრი ამ დროისთვის ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსის კურწი არ ჩაიგდებოდა.

დეპუტატთა რიცხვი უოვალავი იყო. სადღესასწაულო კომიტეტი იძულებული გახდა შეემცირებინა რიცხვი დეპუტატებისა, მაგრამ მარც ბევრმა მოიყარა თავი. განსაკუთრებით ბევრნი მოვიდნენ პროვინციებიდან: ზემო და ქვემო იმერეთიდან, კახეთიდან, საინგილოდან. ქართლიდან, მესხეთიდან, გურიდან, სამეგრელოდან, ბათუმ-აჭარიდან და სხვა კუთხებიდან. არ დარჩენილი არც ერთი დაბა და ქალაქი, დეპუტაცია რომ როგორც გამოვგზავნოს. ორასამდე დეპუტაცია იყო. ზოგ დეპუტაციაში ოთხი-ხუთი კაცი იყო, ასე რომ დეპუტაციების რიცხვი ხუთასამდე დღიოდა. მარტო საჩერისა და მის მიღამა სოფლის საზოგადოებათაგან 80-მდე კაცი იყო. დეპუტაციები იყო აგრეთვე მავმადიანთა, სომეხთა, ებრაელთა და სხვა ეროვნებათა სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებისაგან.

ნაშეაღლევის პირველ საათზე ფარდა აიხადა. მარცხნივ ცოტა ამაღლებულ აღგილზე, იღგა სავარძელი, რომლის გარშემოც იდგნენ წარმომადგენელი მწერლობისა, მხატვრობისა და ხელოვნებისა. იქვე ჩამწკრივებულიყო საოპერო დასის მგალობელთა გუნდი. მარჯვნივ იღგა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ქალთა და ვაჟთა ხორო და შემდეგ იდგნენ დეპუტატები. სახაზინო თეატრის უზარ-მაზარ სცენაზე ამ დროს ექვსას კაცზე მეტი იყო.

თეატრში მყოფი ზღვა ხალხი სულ განაბული ელოდა მეოსნის გამოსვლას. გამოჩნდა მეოსანი და ამოდენა ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და გაისმა მგრგვინავი ტაში და „აკაკის გაუმარჯოს.“ შესწყდა ტაშისცემა და ფილარმონიულ საზოგადოების ხორომა და ორკესტრმა, ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით, შეასრულა მრავალფარისი, რამაც ძლიერი აღტაცება გამოიწვია. შემდეგ წინ წამოდგა საიუბილეიო კომიტეტის თავაჯდომარის ამხანავი იაკობ გოგებაშვილი და მიმართა პირველი სიტყვით იუბილიარს. მან, სხვათა შორის, სოჭეა: მე, როგორც კომიტეტის წევრს წილიდ მხვდა ბენდინერება, გავხსნა ქართველთა ერის დღევანდელი დაუგიწყარი დღესასწაული. შემდეგ გოგებაშვილმა ქართველის ერის სახელით მიულოცა იუბილიარს, მოკლედ აღნიშნა მისი ღვაწლი საშობლო ლიტერატურის და ერის წინაშე და უსურეა მრავალ-ეამიერი სიცოცხლე. ხორომ მეორედ შეასრულა მრავალ-ეამიერი

ამ მილოცვებით დასრულდა დღის დღესასწაული. დეპუტატების სიმრავლისა გამო, საღამოსათვის დანიშნული წარმოდგენა სულ გადაიდო და 8 ნახ. საათზე კვლავ განავრდეს მილოცვა, ადრესების და საჩუქრების მირთმევით.

ფარდის აზის შემდეგ კვლავ იმდერა ფილ. საზოგადოების მგალობელთა გუნდმა. საღამოთი იუბილიარს მიულოცვეს, ქართულმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ და მგოსანს აკნბეს საზოგადოების სპატიო წევრად არჩევა, გუმბრის ქართველობამ, ქუთაისის ექიმთა საზოგადოებამ, ტფ. ქართველმა ექიმებმა, ტფ ფარმაცევტებმა, ტფ. ბებია ქალთა საზოგადოებამ, კავკასიის ფერშალთა საზოგადოებამ, რუს-ქალთა წრემ, ფოსტა-ტელეგრაფის ქართველმა მოხელეებმა. სომეხთა ორქეოლოგის ლალაინცის მილოცვაზე იუბილიარმა ორიოდე საპასუხო სიტყვა სთქვა: ისტორია გვეუბნება, რომ სომეხნი და ქართველნი წარსულში ხელი ხელ ჩაკირებულნი მიღიოდნენ წინ და ის არის მიზეზი, რომ აღმოსაფთლეთში ამ ორმა საქრისტიანო ერმა შეინარჩუნა სიცოცხლე. შეიძლება ეკონომიურ ნიადაგზე ქართველებსა და სომებს შორის ცოტა რამ სამდურავი იყოს ჩამოვარდნილი, მაგრამ ამაზე სულმათ რუსთაველის სიტყვით გიპასუბება: მცირე რამე სამდურავი მოყვარეთა წესიათ. ვისურვებ, რომ ქართველობასა და სომხობას ერთობისა, ძმობისა და სიყვარულის ნიადაგზე ძველებურად ხელი ხელს ჩაკიდებულებს ევლოთ პროგრესის გზაზე ერთმანეთის საკეთილ-დღეოდ და გასაძლიერებლადათ. ამ პასუხში „კეცეს“ ძახილი გამოიწვია. ადრესები მიართვეს რკინის გზის კონდუქტორებმა, რკინის გზის ნაეთის მილის მოსამსახურეებმა, ქართველმა ვექილებმა; ვექილების დეპუტატმა მგოსანს ძვირფასი ოქროს სახსოვარი გაუკეთა გულზე; რკინის გზის მოხელე მოსამსახურეებმა განჯაში, ჭიათურის საკრეოტო საზოგადოებამ, ჭიათურის სასწავლებელმა, ქუთაისის ბანქმა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელ მოსწავლეებმა, ტფ. საათავად-აზნაურო ბანკმა, წიგნების გამომცემელმა კვიცარიძემ, ტფ. რესტორანებისა და სასტუმროების საზოგადოებამ, ტფ. პარიკმახერებმა, მექიქეებმა, სომხების საქველ-მოქმედო საზოგადოებებმა და სომხებისავე დრამატიულმა საზოგადოებამ.

ძლიერის ტაშის ცემით მიეგება ხალხი კავკასიის სპარსელთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას და მაჰმადინთა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს. მათ ძეირფასი ხალისა მიართვეს მგოსანს. მილოცვაზე მგოსანმა შემდეგი მოკლე სიტყვა სთქვა: თქვენი მოსვლა და მოლოცვა ქართველებს დღეს განსაკუთრებით გვახარებს, რადგან თუ ძველად ხშირად მტრები ვიყავით, ეხლა მხოლოდ ძმურ საღამისა და თანასწორობასა ვხდედათ. ადამიანთა უძლიერები იარაღი ეხლა სწავლა-განათლებაა. გისურვებთ რომ აღმოსავლეთიც დაწაფებოდეს ამ ერთაღ-ერთ მის გამოსაბრუნებელ იარაღს და განვახლებინოს თავისი ცხოვრება. ეს მით უურო სასურველია, რომ სინათლეს ჩვენ აღმოსავლეთიდან მოვილით. გაუმარჯოს ჩვენში დღეიდან უფრო მტკიცე ერთობას, ძმობას და სიყვარულსათ. მაჰმადიანთ დეპუტატები კვლავ ტაშისცემით გააცილეს.

შემდეგ მიულოცვეს და ადრესები მიართვეს: გაზეოებმა „დროებამ“ „დროების“ წარმომადგენლის შემდეგ „მწყემსი“-ს რედაქტორმა დეკ. ლამბაშიძემ მიმართა შემდეგი ადრესით:

### დილებულო ქართველთა ერის მგოსანი აკაკი!

მადლობას ესწირავ უზენაესს ასხებას, რომ შემასწრო ორმოცა ათი წლის სალიტერატურო ასპარეზზე თქვენს დიდებულს საიუბილეო დღესასწაულობას; იმ ძვირფასი კაცის ესეთ დიდებულ დღესასწაულობას, რომლის სიხარულით ვიხარებდი და რომლის მწუხარებით ვეწუხდი.

როგორც „მწყემსი“-ს ორგანოს რედაქტორი და აგრეთვე შორაპნის ოლქის სამდვდელოების წარმომადგენელი გილოცავთ დიდებულ ორმოცა ათი წლის მოლვაშების იუბილეის დღესასწაულობას. სულით და გულით ვისურვებ თქვენს დღეგრძელობას სასიხარულოდ და სასიქადულოდ საქართველოს ერისათვის.

იშვიათად მოხდება, რომ კაცი ეღირსოს იმ დიდებულს დღესასწაულობას, რომელსაც ასე აღრითოვანებით და წრფელის გულით იხდის დღეს ქართველი ერი. თუ კარგად დააკვირდება კაცი ხალხის საკეთილდღეოდ თქვენს მოღვაწეობას სრულებით არ გავირდება იგი. მაცხოვარმა ბრძანა: არ შეიძლება რომ კაცი ემსახუროს

ხალხსაც და მამონასაცა. თქვენ სრულებით არ ჰგევ-  
ხართ სხვა მოღვაწეთა, რომელნიც დიდის ჯამაგი-  
რის აღებას და პენსიის დამსახურებას უმთავრესად  
აქცევდნენ ყურადღებას. თქვენ არასოდეს არ ემსა-  
ხურებოდით ჭამონას; არ გიფიქრიათ არც დიდი  
ჯამაგირის მიღებაზე და არც დიდი პენსიის დამსა-  
ხურებაზე. ხალხის მსახურების გზა არ შეუშლია  
თქვენთვის არავითარ გაჭირვებას. ამ მხრით თქვენი  
მოღვაწეობა დიდად განიჩევა სხვა თქვენ მოღვაწეთა  
სამსახურისაგან.

ამასთან თქვენ, როგორც სრული განათლე-  
ბის მიმღები, ასცდით ცხოვრებაში ისეთ შეცდო-  
მას, როგორი შეცდომისთვისაც დიდებული რუსის  
ერის პოეტი პუშკინი მზად იყო ნახვარი თავისი  
სიცოცხლე შეეწირა ამ შეცდომის გასასწორებ-  
ლად. თქვენ როგორც ღრმად განათლებულ და  
გამოცდილ კაცს შეუძლებლად მიგაწნდათ და მი-  
გაწნიათ უარყოფა სახარების მცნებათა — „შეიყვარე  
მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“.

თქვენ თანასწორად ემსახურებოდით როგორც  
ხალხის გონებით განვითარებას ისე ზნეობით მის  
ამაღლებას და სხვათა შორის აი ამან მოხიბლა  
მთელი საზოგადოების გული და ამისთვის ასე  
აღფრთვანებით დღესასწაულობს მთელი საზო-  
გადოება თქვენს 50 წლის სასარგებლო და სასი-  
ქადულო მოღვაწეობის დღეობას.

სურათი და მხატვრობა შორიდან უკეთ მოს-  
ჩანს. შემდეგი თაობა ქართველთა ერისა, რომე-  
ლიც მარტო თქვენს ნაწერებს წაიკითხავს თქვენი<sup>1</sup>  
სამსახური ჩვენი დაჩაგრული ერისათვის. უფრო  
დიდად გამობრწყინდება და უფრო მაღლიერი  
დარჩება დღევანდელ თაობაზე.

დღეს საქართველოს ეკალესია ყველა ადგი-  
ლას იხდის სამადლობელ პარაკლისს და მადლობას  
სწირავს უზენაეს არსებას, რომ მიანიჭა მას თქვე-  
ნისთანა სასარგებლო და სასიქალულო მოღვაწე  
კაცი და ვევდრება, რომ მრავალ-უმიერ პუნ-  
ხალხისათვის თქვენი ძეირთასი ჯანმრთელობა.

ვაშა თქვენს უანგარო მოღვაწეობას!

ვაშა თქვენს შეუდარებელ მოღვაწეობას!

ვაშა თქვენს სასარგებლო და ნაყოფიერ ხალ-  
ხის მსახურებას!

კურთხეულ იყოს თქვენი სახელი ამიერილვან  
უკუნისამდე.

შემდეგ განაგრძეს ადრესების კითხვა:  
„ალმა“, „საქართველომ“, „მშავემა“, „გორგა-  
მა“. „ნოვოსტი ზაკავკაზიებ“, „ზაკავკაზიების  
ზრენიებ“, ლიტერატურთა წრემ, პოლონელთა  
სახლმა, ქართ. სიტყვაუაზმულ მწერლობის საზო-  
გადოებამ, „გელავერსტმა“, „ასკარმა“, კავკასიის  
ხელოვნების საზოგადოებამ, ტფ. უურნალისტთა  
საზოგადოებამ, „კალმის“ გამომცემელმა ამხან-  
გობამ, უურნალ „თეატრ და ისკუსტვა“-მ, „ჯე-  
ჯილმა“, „სავაჭრო გზამ“, ტფილისის სახალხო  
უნივერსიტეტის საზოგადოებამ და ქართულ, რუ-  
სულ და სომხურ სექციებმა. სიტყვებით მიმართა  
იუბილიარს ექიმშა ვახ. ღამბაშიძემ და ტფ. ქარ-  
თულ გიმზ. ზიისა და მოსწავლეების სახელით დი-  
რექტორმა აღ. მდივანმა.

ღამის 12 საათი შესრულდა, მაგრამ ადრესე-  
ბის კითხვა და მილოცვები ჯერ არ იყო დასრუ-  
ლებული. რადგან გვიან იყო და იუბილიარიც  
დაიღალა, ადრესების კითხვა შესწყვიტეს. დარჩა  
წასაკითხი კიდევ ორმოც-და-ათამდე ადრესი.

დარწყეს დეპეშების კითხვა. მაგრამ მალე გა-  
მოაცხადეს, რომ ხუთასამდე დეპეშა და ყველის წა-  
კითხვა შეუძლებელია.

დღესასწაულის დასასრულ მგოსანმა, მიუ-  
ხედავად მთელის დღის მოქანულობისა, მკა-  
ფიო ხმით შემდეგი მომხიბლავი სიტყვა წარმოსთქვა:

ბატონებო! ორმოცდა-ათი წელიწადი ვებრ-  
ძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ  
უკუღმართობას. იარაღად ვემარბდი სიტყვას და  
კალამს, სადაც ძალიან მცირეოდენ თაფლთა ბევ-  
რი ნაღველი იყო ჩემსავე ცრემლებში ჩალესილი.  
ამნარი სამზადისი ბევრს, რასაკეირველია, მწარედ  
მოეჩენება, თუ ვინმე მუშტრის თვალით გადა-  
თვალიერებს იმ ნაწერებს და გაიხსენებს გადაუ-  
სხვაფერებლად ჩემს სიტყვებს, იქ საპირადოს ვე-  
რას ნახვს ვერ ( ერთში. მაგრამ თავმოყვარეობა  
იქ პხედავს იმ სადაც არ არის და ადამიანი-კი,  
საზოგადოდ, თავმოყვარება. ასე თუ ისე, ამ ჩემმა  
ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევდა და ვინ  
იცის, რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-  
იქ თანამგრძნობელი არ მყოლოდა, უმეტესად  
ქალებში მათის გულკეუილობით და ახლგაზღებებში  
მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროდ  
ვწირავ მათ მაღლობას. მე ჩემი თავი ყოველთვის

მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ასე რომ თუ ჩემ შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომ ერთი ათასად ფასდება და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ პყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მხოლოდ მოჩვენება ვარ. მათ ამ დღაზ გრძნობას შეუერთებ ჩემს ნატორასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატორელი გმირი და მე კა

ის არ ვარ თქვენ რომ გიგნივართ,  
ძნელი ეფთიალა ჭადარა;  
თამაშად ვეფარ გაჭირების  
უქმი დაფი და ნადარა.

გული არ იშლის გულაბას,  
მაგრამ ვერ მისდეგს ძალდონე;  
ვარ ბეჭრა „ვის“ მნიშველი  
და ბეჭრა „უის“ გამგონე.

აგსო გული წვეთ-წვეთად  
ნაღველით და შხამითა.  
ისე ვით საუბუნენი  
სხვა სხვა მრავალ ააშითა.

და რადათ მანდა სიცოცხლე  
შე აწმუო გამწარებულსა,  
თუ ვისაც გეტრივა, გინ მიუვარს,  
ჭრედებ მას ათხებულსა.

მაგრამ იძედა ცის ნიჭი  
რომ გამიერვების გლახ გულსა,  
თავი ტარიელ მგრია,  
ოცნებით გრძე მოცულსა.

უხმიდ ფრიდონს და ავთანდილს,  
მხარი მხარს მისცეს ხელი-ხელს;  
ნესტან დარჯან ქაფების ჰევას  
მოქლის ტურია გამომხსნელს.

ა უეთ; თეთრი თმა მარტვეს—  
სისხლით შექლებავ ჭადარას  
და საგმირო ხმას ვაძახებ  
ჩემსა დაფისა და ნადარას.

მაგრამ, ვამშე, რომ იჭია  
მოუგზავნა ჯოჯოსეთს,  
მაცდელ სარეშე მასედებს,  
ოცნებას მიწულავს, გულს მისევს.

ამბობს, ფრიდონ და ავთანდილ  
ჯერ ვერ გადიხდის ომია  
და შენო ტარიელს მოჭიგვასარ,  
ისე ვით გატა ლომისაჲ.

შართალი არის, მაგრამ რა,  
რათ გავიტეხო იმედი,  
გმირს წინა უძლების ეფველთვის  
უძლეური წინა მორმედი!  
არა, არ ვერგვავ იმედსა,  
ვერ შემაშინებს ჭადარა,  
გმირებს მოელის თქვენგანვე  
ჩემი დაფი და ნადარა!

სიტყვაშ დაუსრულებელი ტაშის-ცემა და ვაშას  
ძახილი გამოიწვია. მგოსანი სცენიდან დილის ოვა-  
ცით გააცილეს.

დასასრულ გაიმართა აპოთეოზი. ცოცხალი  
სურათი წარმოადგენდა საქართველოს, რომელსაც,  
აკაკის „სიზმრის“ შინაარსისამებრ, გადასცეროდა  
ნენ თამარ მეორე, ნინო, ჭართველთ განმანათ-  
ლებელი, და ქოთევან დედოფალი. სურათი ძალიან  
კარგი იყო. ნაშუალამევის 1 საათი იქნებოდა, რო-  
ლესაც დღესასწაული დასრულდა.

წესი და რიგი მთელ დღეს ერთის წუთითაც  
არ დარღვეულა და შესანიშნავი იყო.

ნაგადეულის ჟედაქწიის მეეტ წარმოგზაგნიდა ერთგ-  
ნედ თეთრ ტანისამოსში გამოწყობილთ ჰატარა  
ბაგშვით დეპუტაციის მიმართა მგრასამა მოგლე  
დარიგებით.

*X* ჩემო პატარა მეზობრებო!

სხვათა შორის ერთი ღილი ნაკლიცა მაქვს:  
მუსიკისა არა გამეგებარა, მხოლოდ ვგრძნობ. ამ  
ნაკლს ყოველთვის მივსებდა ახალ თაობის ტიკტიკი.  
აი ახლაც თვეენი სიტყვა მუსიკასავით მწვდება  
გულის სილრმებინ და ღილა მაღლობასაც გწი-  
რავთ, გთხოვთ, რომ არ დაივიწყონ დღევანდელი  
დღე მიტომ კი არა რომ ჩემის მიზეზით არის გა-  
მოწვეული, არა, უფრო სხვა მიზეზებით; აი, ხომ  
ხედავთ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა და  
უნდა, რომ პყავანდეს მას ნამდვილი მოღვაწე და  
გმირი და არა ჩემსავით მოჩვენებული. და ეს გმირი,  
თქვენმა თაობამ უნდა ჭარმოშობოს და ეს მხოლოდ  
მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ

გელგებათ ფეხი; ვინც თავის გვარ—ტომობას უარ ჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება უვარების იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდესთ თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტურის გრძნობით კი არა, ეს იგი რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნობას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი. გადაეცით ეს თქვენს პატარა ამხანაგების.

V უკანონოვანი.

## აირველი ნაბიჯი.

(თარგმანი)

დიდ შენობაში ბევრ ხანს იმყოფებოდა ბლო-  
მად ხალხი. სუნთქვისაგან და ორთქლისაგან პაერი  
გაფუჭდა. ოთახში ისე ცხელა, რომ კაცს სული  
უგუბდება, ძლივს-და სუნთქავს. მეტი ხანი რომ  
დარჩეს, შეიძლება კიდევ გამოიხჩის. საჭიროა  
ფანჯრების და კარების გაღება და სუფთა პაერის  
ოთახში შეშვება. ამისათვის ყველაზედ პირველად  
საჭიროა კაცმა იგრძნოს, გაიგოს, რომ პაერი გა-  
ფუჭებულია. შედით აბა ღამე ღამის-გასათვე  
სახლებში, საპყრობილებს შენობაში, ქარგასლაში,  
სადაც ბევრი ღამის-მთეველები არიან. შეიხდეთ  
ზამთრობით გლეხის ქოხში, სადაც ერთად შეგრო-  
ვილან: ხალხი, საქონელი, ქათამი და სხვა; ახლად  
მისული კაცი ვერც-კი ამოისუნთქავს; იქ მცხოვ-  
რებნი-კი კმაყოფილნიც არიან: „უფრო თბილიათ“,  
—ამბობენ.

ეგრეთვეა ცხოვრებაშიაც. დროთა ვითარებაში  
ხალხი იცვლებოდა ერთი მეორეთი, როგორც ზღვაში  
ტალღები; გულის სიღრმიდებან გამოჰქონდა უოვე-  
ლივე სისაძალე და უწმინდურება და ყველა ამას  
სტოვებდა ცხოვრებაში; ბოროტება უშველებელ  
დიდ მთებად გადაიქცა. კაცი ბოროტების და უსა-  
მართლოების სუნთქვაში, ლამის დაიროს. წნეო-  
ბით სუფთა კაცს ერთი ამოსუნთქვა უჭირდება და  
მომეტებული ნაწილი ხალხისა-კი შესჩევია ამ გა-  
ფუჭებულ, მოშხამულ პაერს, კმაყოფილია და შეს-  
ხარის თავის ცხოვრებას.

პირველად აი რა არის საჭირო, —გამოფხიზ-  
ლება, გონის მოსვლა, ჩაფიქრება, გაგება, რომელიც  
გაფუჭებულ პაერში ცხოვრება არ შეიჩლება, რომ  
კაცისთვის საჭიროა სუფთა პაერი, და ეს პაერი-კი  
არა გვაქვს ჩვენ: ჩვენ ამითი დავგლახაკდით. აი  
ექვდგან იწყებს მაცხვარი. პირველი მისი სიტყვა,  
რომელიც უთხრა ხალხს მთაზედ ქადაგების დროს,  
იყო სიტყვა ხალხის სულიერ დაგლახაკდაზე. „ნე-  
ტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, აბმობს ის, რამეთუ  
მათი არს სასუფეველი ცათა.“ (მათ. 5, 3).

ხალხი ეძებს ბელნიერებას; უნდა სიმართლით  
ცხოვრება, პფიქრობს მოაწყოს სასუფეველი ღვთისა  
ქვეყნად. მაგრამ აქვს იმას ამისთვის საკმაო ძალ-  
ლონე? შეტევებს მას ამის სამუშაოდ შინაგანი ძალა?  
ცარიელ ქვაზედ ყვავილები არ იშლებიან; ცარი-  
ელ ჭურჭლიდგან წყალს ვერ დალევ, და ვერც  
ერთი მოხელე ტალასიდგან სასახლეს ვერ გააკე-  
თებს. ყველაფერს სჭირდება თავისი შესაფერი ნივ-  
თიერება. განა ჩვენ საკმარისი გვაქვს სიკეთე ან  
კეთილი ცხოვრება? ვარაგივართ განა ჩვენ ხალხში  
ღვთის სასუფეველის ასაშენებლად? ზოგიერთი ხე  
დიდი, მაღალი, ამაყად სდგას და აშრიალებს თა-  
ვის მწვანე ფოთლებს, მაგრამ მიხეალ ახლოს, ნა-  
ხავ რომ ის გამოფულრულია, გული მთლად დამ-  
პალი აქვს, არაფერ საქმეზე გამოსადევი არ არის.  
სდგას ასეთი ხე არხეინად, ვერაფერზე ვერ მოი-  
ხმარ. ჩვენს ცხოვრებას უნდა კარგად ჩავუკირდეთ,  
გავშინჯოთ, ავწონ-დავწონთ ჩვენი ყოფა-ცხოვ-  
რება. ვაშენებთ ჩვენ ღვთის სასუფეველს ხალხში?  
ასეთი გაშინჯვა ჩვენის ცხოვრებისა დაგვანახვებს,  
რომ ჩვენში ამპარტაენობა, გულზვაობა, თავის-მო-  
ყვარება ბევრია; ის კი, რაც კარგია, რასაც ფასი  
სძევს, ძალიან ცოტაა ჩვენში, ხანდახან გროშის  
საფასურიც არ არის. ცარიელი სიტყვით ჩვენ მუ-  
ხას ვამტერევთ, მაგრამ საქმეზე თუ მიგარდა, ჩა-  
ლასაც ვერ მოვლუნავთ. საქმით გამოდის, რომ  
სიკეთეში ჩვენ სუსტინი ვართ, უძლურნი, თითქოს  
დამბლად დაცემულნი. ჩვენი თავი მიგვაჩნია გმირად,  
მაგრამ ნამდვილად-კი განრღვეულზე დაბლა ვდევ-  
ვართ, რომელიც ოცდათვრამეტი წელიწადი უმო-  
ძრაოდ იღო. გამოდის, რომ მთელი ჩვენის სიკო-  
ცხლის განმავლობაში თითოთაც არ ვეკარებით  
ღვთის საქმეს.

ავადმყოფობა და სისუსტე ადამიანისა მაინც და მაინც არ არის ღილი უბედურება: თუ ავადმყოფმა წამლობა დაიწყო, ცხოვრება სწორედ მოაწყო, შეუძლიან ჯანის სიმრთელე დაიბრუნოს. მთელი უბედურება იმაშია, როცა ავადმყოფს თავის თავი კარგად-მყოფად მიაჩნია, წამლობაზე სიტყვის მოსმენაც-კი არ უნდა. აქ უკვე აღარაფრით შევლა არ შეიძლება, მიდის კაცი კაობიან ადგილში; რაც იქით, მით მომეტებულად იფლობა ტალახში და ჰელინია, რომ ეს არის ნამდვილი გზა. რა თქმა უნდა, ბოლოს მთლად ჩვარდება ტალახში. იმის-თვის საჭიროა, რომ პირველად გაჩერდეს მაინც, მიხვდეს, რომ იმან ნამდვილი გზა არ იყის, რომ აქამდის მიღიოდა, როგორც ბრძა. ეს იქნება დასაწყისი იმის გადარჩენისა. როდესაც ავადმყოფი გაიგებს, რომ ის ევათ არის, მაშინ თუ უეჭველათ არა, ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ის წამლობას დაუწყებს თავს. ამისთვის ნათქვამია: „ბეჭნიერია, ნეტარია ის კაცი, რომელმაც თავის დროზე გაიგო, რომ იგი გლახაკია სულითა, დაგლახაკებულია სიკეთით და სიმართლით; ის იპოვის ღვთის სასუფევლს.“

აქ არ არის ნათქვამი „ლარიბი“, არამედ—„გლახაკი“, იმისთვის რომ ლარიბსა და გლახაკს შუა ღილი განსხვავებაა. ლარიბს შეუძლიან არაფრი ჰქონდეს, მაგრამ კმაყოფილი-კი იყვენ თავის ბედისა. იყო ძევლათ ძალიან ლარიბი ბრძნი კაცი, რომელიც კასრში სცხოვრობდა. ერთხელ იმასთან მივიღა მეუყე და უნდა გაეგო, რას ეტყოდა. „მოეცალე კასრს, მზეს ნუ ეფარები“—უთხრა ბრძნება. ის იყო კმიულფილი თავის მდგომარეობით და არავის არაფერს სახოვდა. სულ სხვაა გლახაკი. გლახაკი დადის სოფლებსა და ქალაქებში, ითხოვს, კარებს არაკუნძებს, გამვლელ-გამომვლელს ხელს უშვერს და მოწყალებას ქთხოვს. თუ რომ „გლახაკიც სულითა“ ყველგან დიწყებენ ძებნას, და ყველას სთხოვენ, როგორც მოწყალებას, სიკეთისა და სიმართლის დარიგებას, მაშინ ისინი სულით ცარიელნი არ დარჩებიან, თავისთვის და სხვისთვის ღვთის სასუფევლის აღსაშენებლად საჭირო მასალის ნახავენ.

ყველაზე ღილი უბედურება ცხოვრებაში ის-კი არ არის, რომ ხალხი ბოროტებას სხიდის და რომ ცხოვრება საგსეა უსამართლობით. საშინელია მეტისმეტი გულ-გრილობა ხალხისა სიკეთისა და

სიმართლისადმი, კმაყოფელება თავის თავით, ამაყობა თავის ცხოვრებით. ხალხი შეეჩერა უნერბრივ სისაძგლეს და არხეინათ იმყოფება მასში. ბედნიერნი არიან ამისთვის ისინი, რომელთაც სული შეუგუბდებათ ამ გარემოებაში და იგრძნობენ, რომ პაერი აკლიათ გულში: ისინი აღარ გაჩერდებიან მძიმე პაერში და გაიშევენ სუფთა სივრცეზე. მა შასადამე, ღილი საქმეა კაცისათვის გაეგება მისის ცხოვრების უბოვარებისა, შეგნება თავის სულიერის სიგლახაკისა. ეს არის დასაწყისი მობრუნებისა სიკეთისაკენ, პირველი ნაბიჯი ახალი, ბრწყინვალე ცხოვრებისაკენ.

მეორე ნაბიჯი—იგრძნოს სულიერი სიგლახაკე, იგლოვოს და იტიროს ადამიანშა. ჩვენ მომეტებულ ნაწილად იმისთვინ გვეჩვენება ცხოვრება სამძიმოთ, რომ ძალიან უბრალოდ მიგვაჩნია ჩვენი სულიერი სიუძლურე, გულგრილად ვეკიდებით ამას. აბა მოხდეს, რომ კაცმა დაპკარგოს თავისი ქონება, სამსახური, ჯან-მრთელობა, ან ახლო ნა-თესავი, ან მეგობარი,—მაშინ ის დიდათა სწუხს და სტირის. როდესაც-კი ჩვენ ვკარგავთ პატარაობის უმანკოებას, სულის სიწმინდეს, სინიდისს წინააღმდეგ ვიწევით, გვეკარგება ყოველივე კეთილი გრძნობა და მისწრაფება,—ჩვენ მიგვაჩნია ყოველივე ეს უბრალო საქმედ, თითქოს ჩვენ ვკარგავდეთ არა ძვირფასს რამეს, არამედ მცირე მნიშვნელოვან ნივთს.

მოსკოვში, ტრეტიაკოვსკის სურათების გაღერებაში არის ერთი საინტერესო სურათი. გამოყვანილია ღილი მინდორი, საღაც სქელ ბალახზედ აწყვია უსულო გვამები, რომელთაც მასხარად იგდებს ვამარჯვებული მტერი. ზოგი სხეული თავმოჭრილია, ზოგი უცხვიროა, უტუჩო, უყურო; ზოგი სულ ტანისამოს-გახდალია, ზოგი ტყავ-გაძრობილია.

მე ამ მინდვრის დანახვა მაგონებს ბევრის ჩვენგანის ცხოვრებას. რაც ადამიანი თავის წარსულს იგონებს, თავის ბაშვობას იდგენს, მით მომეტებულად ხედავს დაღუბულ ოცნებას და ბრწყინვალე მისწრაფებას. რანაირად დაამახინჯა ცხოვებამ აღამიანი, შეურაცხყო იგი თავისი ულმობელი ხელით! პატარაობისას კაცი ცოცხალია, ფხიზელია, მოელის ბედნიერებას, გაიზრდება და იღუპება. გაგონდება ეს და გრძნობ შენ თავს

თითქოს სასაფლაოზე, სადაც, საითაც-კი მიიხედავ, ხელავ ჯვრებს და საფლავებს და მათ ქვემოლ  
• „წმინდა ფიქრებს და ბრწყინვალე ოცნებაებს“.  
და ბედნიერია კაცი, თუ ის ცრემლიანის თვალით უყურებს თავის დაღუპულ წმინდა გრძნობების ძვირფასს საფლავებს. იგი მაშ ჯერ მთლათ არ დაღუპულა. მწვავე ცრემლი სიბრალულისა თავის თავისადმი, სიმწარისა თავის სულის სიგლა-ხაკისადმი, გადარეცხს ცხოვრებისაგან გატალახიანებულს გულს, მოარბილებს და დაათბოს გაციებულს კაცის სულს. კაცს დაენანება თავისი წირ-სული სიკეთე. იგი გაიწევს. დავიწყებულ სიმართლისაკენ, და შეიძლება ესეც მოხდეს, რომ თავის წვრილმან საქმეების მაგივრად შეუდგეს ლვთის საქმეს და მასში ნახოს მოსვენება სულისა და უმაღლესი ლხენა. ამისთვის მაცხოვარი ამბობს: „ნეტარ იყვნენ შგლოვარენი გულითა, რამეოუ იგინი ნუ-გეშინის-ცემულ იქმნენ.“

## VI

## ნეტარ იყვნენ მჟღილი.

თუ ხალხი თითონ სულით გლოხაკია, თუ ცხოვრება მისი ასეთია, რომ იგი სატირალია, თუ თითონ იგი უძლოურია წინაშე უმაღლესის სიმართლისა, განა შეიძლება, რომ სასტიკი იყვეს იგი სხვებთან? როდესაც თითონ წევნ ვსაჭიროებთ სხვისგან თანაგრძნობას და შებრალებას, ჩვენ ცუნდა ვიყვნეთ შემბრალებელნი და მშვიდნი მოყვასის მიმართ. ჩვენ ყველანი, როგორც ბრძოლის ველზე, დაჭრილები ვართ, წვალებულნი ვართ ცხოვრებისაგან, ყველანი დატანჯულნი ვართ გულით; ყველასთვის საჭიროა, რომ ერთმანეთს ექცეოდნენ გაბრთხილებით, უწყინარათ, სიყვარულით. ყველას ჩვენ გვჭირდება მოწყალე სამართლი, როგორც სახარების იგავის დაჭრილ მგზავრს. სახარება გვამცნებს ასეთს განწყობილებას ერთმანერთისადმი. იყვაით მშვიდნი, „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, ამბობს მაცხოვარი, რამეოუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.“

მშვიდად ყოფნა იმას-კი არ ნიშნავს მაინცა და მაინც, კაცი დავრდომილი გახდეს, ხელები ჩამოუშავს და ბოროტებას დაემორჩილოს, სრულიად მიყცეს მის განკარგულებას. არა, სიმშვიდე არის უდიდესი გმირობა, ძალა, რომელსაც შეუ-

ლიან არამც თუ აჯობოს მტერს, არამედ—ზეობრივადაც გარდაპეტანის იგი, გამოსცვალის; შეგობრიდ გაპხალის; არის ძალა, ბოროტების სიკეთედ გარდამცცევი.

წმიდა მაკარი ეგვიპტელის ცხორებაში არის მოთხოვაბა, როგორ მიღიოდა იგი ერთხელ უდაბნოში თავის მოწაფესთან, ახალგაზდა მორჩილთან, ერთად. გზა მიღიოდა მთაზე. მოწაფე ცოტა წინ წავიდა თავის მოხუცებულ მოძღვანზე, და უცებ შესახვევეში შეხვდა კერპთაყვანის-მცემელთ ქურუმს.

— მოცალე იქით, ეშმაკის მოსამსახურევ! — დაუცვირა მას მეტად გულ-სწრაფმა მოწაფემ.

ქურუმი გაჯავრდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაარტყა ჯოხი თავის შეურაცხმყოფელს. მოწაფე უგრძნობლად დაეცა მიწაზე. აქეთ შემოსახვევში ქურუმი შეხვდა თვით მაკარის. მაკარიმ არ დააცადა სალამი და თითონ უქნრა: „ლმერთმა გიშველოს, ძვირფასო ძმაო, კეთილი გზა მოგცეს!“ ქურუმი მოლბა, მას გაუკვირდა ასეთი სალამი მაკარისა, რადგანაც იცოდა, რომ ის ქრისტიანი იყო.

— მე ხომ კერპთ-თაყვანის მცემელი ვარ! უთხრა იმან მაკარის.—როგორ მეძახი მე ძმას? და გარდა ამისა, ის ეს არის ეხლა ისე მაგრად და-ვარტყი შენ მოწაფეს ჯოხი, რომ გული წაუვიდა. განა ეხლაც მოისურვებ ჩემთვის კეთილ გზას?

დიალ, ეხლა უფრო მომეტებულად მოვისურვებ შენთვის კეთილ გზას იმისათვის, რომ შენ მი-დიხარ ცუდი გზით, გზით ბოროტებისა და შურის-ძიებისა. მე შენ ძმას გეძახი იმისთვის, რომ ჩვენ ყველას ერთი მამა გვყავს—უფალი, ჩვენ ყველანი იმისი შვილები ვართ, ერთი-ერთმანეთის ძმები ვართ.

გაუკვირდა ქურუმს ასეთი ლაპარაკი მაკარისა. იმან დიდხანს იბაასა მასთან, და ბოლოს მოინათლა. ქვეყნაც ხალხი იქცევა ბრიუვულად, მხეცურად. იმან სხვა უმაღლესი ძალა არ იცის, ძალა სიკეთისა და სიყვარულისა, ძალა წყნარის მიფერებისა და გაბრთხილებით ზრუნვისა სხვების მიმართ. ხალხს ეს ძალა უნდა ვაჩვენოთ; პო და მაცხოვარი ასეთის დარიგებით გზავნის ქვეყნაც თავის მოწაფეებს:

მე მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა,—ეუბნება ის,—იყვენით უკვიმცნიერ, ვითარცა გველნი (ლრმად ჩაუფიქრდით

ცხოვრების ყველა მხარეს და მოვლინებას, ნუ და-  
ტოვებთ უყურადღებოდ ნურც პატარა საქმეს), და  
იყვენით უმანკო, ვითარცა მტრედნი". (მათ. 10,16).  
ცხოვრების ყველა მოვლინებაში, მის ყოველივე  
ბოროტებას და უსამართლოებაში მოწაფე ქრის-  
ტესი ყოველთვის, ყველგან. და ყველაფერში უნდა  
იყვეს ერთნაირად მშვიდი, უნდა იმოქმედოს ყველ-  
გან სასიყვარულო სიმშვიდით. მაცხოვარი ყველა  
თავის მიმღევარს გადაწყვეტით ეუბნება: „ისწავეთ  
ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ, და მდაბალ გულითა" (მათ. XI,29).

არ უნდა შეგვეშინდეს იმისი, რომ ამ შემ-  
თხვევაში, სახარების სრულ სიმშვიდეში, ვითომ  
ბოროტებას შეეძლოს ჯობნა და მოსპობა სიმარ-  
თლისა, სიყვარულისა და სიკეთისა. ადამიანის  
სულში ჩასახული არის სიკეთისა და ბოროტების  
გრძნობები. ადამიანის ცხოვრება ისე მოეწყო,  
რომ ბოროტებას აქვს სრული თავისუფლება კაცის  
გულში, სიკეთეს-კი ბევრი დაბრკოლება აქვს თავის  
ზრდაში; სიკეთის მარცვლები შეიშვეთებიან და  
აღარ იშლებიან. გალვიძება სკირდება ხალხში ამ  
შეშთობილ სიკეთეს. უნდა მოვიქცეთ ისე, რომ  
რაც-კი სიკეთეა და სიწმინდეა ხალხში—ყოველივე  
ეს გავაცხოველოთ, მოვათბოთ სიყვარულით, დავ-  
ნამოთ ღვთის სიმართლის ცხოველი წყლით და  
მოუაროთ ნაზათ და მზრუნველობით.

საცხოვრებელ შენობებში, დიდ ოთახებში  
სდგამენ ცოცხალ ყვავილებს და მცენარეებს. ამას  
სჩადიან არა მარტო დასამშვენებლად. ცოცხალ  
მცენარეებს მოაქვსთ ნამდვილი სარგებლობა: ჰაერს  
ასუფთავებენ, სწმენდავენ. ხალხი, როცა სუნთქვავს,  
ჰყლაპავს და ინარჩუნებს მუავგალს (კისლოროდს);  
მხოლოდ, ამოისუნთქვავს ნახშირის სიმუავეს. ნახ-  
შირის სიმუავე აფუჭებს და შხამავს ჰაერს. იმით  
კაცი შეიძლება კიდეც გამოიხრიოს. აი აქ არის  
სასარგებლო ცოცხალი მცენარეები. ეს მცენარეე-  
ბი სარგებლობენ ნახშირის სიმუავით და ნაცვლად  
გამოაქვთ წმინდა მუავგალი (კისლოროდი). ცხოვ-  
რებაშიაც საჭიროა ასეთი მოქმედება, ასეთი მუ-  
შაობა. ზოგიერთი ხალხი ბოროტებისა და უსა-  
მართლოების ამოსუნთქვით ჰაშხამავს ცხოვრებას  
„ნახშირის სიმუავით.“ სხვებმა უნდა გასწმინდონ  
ჰაერი, გამოიტანონ „წმინდა მუავგალი“, რო-  
გორც ამას სჩადიან ცოცხალი მცენარეები; პასუ-  
ხად მხეცური ყმუილისა და მგლურის კბილების

ლრწიალისა უნდა მიეგებონ მშვიდობინის სიყვა-  
რულის გალობით. ეს გალობა შეაშთობს ხალხში-  
ბოროტებას და მტრობას, განუღვიძებს-მას ზრწყინ-  
ვალე გრძნობებს და ყველას შეასწავლის სახარე-  
ბის მოწოდებას ღვთის სასუფევლისადმი. მაცხოვა-  
რი ამისთვის ამბობს: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რა-  
მეთუ მათ დაიმტკიდრონ ქვეყანა.“

## VII მაცხოვარი. ნეტარ იყვნენ, როგორთა შიოდნები და სწყუ- როდები სიმართლისათვის.

„იყავით მშვიდნი“, ასწავლიდა მაცხოვარი  
იესო ქრისტე,—მაგრამ მშვიდნი მხოლოდ ხალხთან;  
მის ბოროტებასთან კი მორიგება არ შეიძლება.  
ყველგან და ყოველთვის, თავის თავში და სხვებში  
უნდა ვეძებოთ სიმართლე, და ყველაზე პირველიდ  
—სიმართლე. უსიმართლეოდ ადამიანის ცხოვრება  
—ცხოვრება-კი არ არის, მხეცური ყოფნაა. თუ  
კაცს სიმართლე არა აქვს, იგი ჰავიქრობს მხოლოდ  
სიმაძლეზე და სითბოზე, ჰკარგავს ადამიანურ  
ღირსებას, ხდება უბრალო საქონლად. ბედნიერია  
ამისთვის ის, რომელსაც არ დაჰკარგვია გემო  
სიმართლისა, რომელსაც აქვს მისწრაფება მისკენ.  
„ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდნები და სწყურო-  
დები სიმართლისათვის,—ამბობს ქრისტე მაცხოვარი,  
—რამეთუ იგინი გასძლენ.“ ნეტარია ის, რომე-  
ლიც ეძებს ქეშმარიტებას, როგორც მშიერი ეძებს  
პურს, ანუ მწყურვალე—წყალს.

როდესაც ჩვენ ვეძებთ რაიმე ნივთს, ჩვენ  
მოვძებნით—მოვძებნით და, თუ ვერ ვიპოვით,  
დავივიწყებთ. მშიერი კი თუ ეძებს საჭმელს, იმას  
არ დაავიწყება თავისი შიმშილი, სანამ არ გაძ-  
ლება, და იმისთვის იმ დროს პურის ნაჭერი, ან  
ერთი მუჭა რამე ხილი ძეირფასია ოქროზე და  
ყოველივე პატივზე. არის მოთხრობა, თუ როგორ  
დაჰკარგა ერთმა არაბმა უდაბნოში ცხენი, უნდა  
წასულიყო ფეხით მაგრამ საჭმელი არა ჰქონდა.  
ძალიან მოშივდა; ფეხებს ძლიერს-და ადგამდა. უცებ  
დაინახა, ქვიშიან მაღლობზე რალაც ტომარას  
მსგავსი. საწყალი არაბი მაშინვე მივარდა. ტომარ  
გახსნა, ჩახდა და გულის ტკენით გადააგდო იქით:  
ტომარაში იყო ოქრო, იმას კი ეკონა რომ საჭ-  
მელი იქნებოდა რამე. ამა მიეცით წინადადება  
მშიერ და მწყურვალს, ამოირჩიოს საჭმელი და

სასმელი ან მამული, სასახლეები, პატივი ან სხვა რამე უაღრესობა,—იგი ყველაფერზე უარს იტყვის, ოღონც-კი გაძლეს და წყურებილი მოიკლას. ბედ-ნიერი არიან, ნეტარნი არიან ისინი, ვინც აი ამ-ნაირად, ყველაზე მაღლა ცხოვრებაში, სიმდიდ-რეზე და პატივზე მაღლა, აყენებენ სიმართლეს.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სიმართლეზე, აღვშ-ფოთდებით როცა არ არის იგი; მაგრამ განა ბევრი ძალა ან მისწრაფება დაგვიხარჯავა, რომ დავამყა-როთ იგი? მილიონი ხალხი ყოველ დღე, დილი-დან მოკიდებული საღამომდის, დაუსვერებლივ მუშაობს საჭმლის გულისთვის. ზოგი წაკუშული მისდევს გუთანს, ზოგს სული უგუბდება სამუშაო მანქანასთან, ზოგი ბადეს ისვრის ზღვაში, ზოგი კვერსა სცემს გახურებულ რკინას. შოვნის გუ-ლისთვის ხალხი ყურყუმელაობს ზღვის ძირში, რომ მარგალიტები იპოვნოს, ცოცვით ადის მაღალ-მიუვალ კლდეებზე, რომ ძვირფასი ფრინველის ბუჩბული იშოვნოს; როგორც თხენები ისე სთხ-რის მიწას ღრმად, რომ ოქრო-ვერცხლი და ქვა-ნახშირი იპოვნოს. ახლა ვიკითხოთ: ესვე მილი-ონი ხალხი განა მილიონჯერ ნაკლებ შრომას მიინც ხარჯავს, რომ იპოვოს ოქრო ღვეთის სიმარ-თლისა და მარგალიტი ქრისტეს სიყვარულისა? ნაწავლი კაცები ათასობით დიდის სიძნელით მო-გზაურობენ უწყლო უდაბნოებში. სცურავენ აღლ-ვებულ ზღვებში, გადადიან თავბრუდამსხმელ მაღალი მთის სიმაღლეებზე, რომ გაიგონ, როგორ სცხოვ-რებენ იქ უცნობი ხალხები. ახლა ვიკითხოთ, ბევრია ისეთი ჭკვიანი კაცი, რომელიც, თუნდაც ადგილობრივ, ფიქრობდეს, როგორ უკეთესად მო-ვაწყოთ ჩვენი ცხოვრება? ჩვენ შევისწავლეთ რა ნაწილებიღან შესდგება მზე, გავიგეთ თვისებანი თვით უშორესი ვარსკვლავებისა,—და ხშირად-კი არ შეგვიძლიან ისა ვსთვეათ, რა არის ჭეშმარი-ტება, როგორია მისი თვისებანი.

თუ რომ მთელ ჩვენ დროს, მთელ ჩვენ ზრუნ-ვას, გულმოდებინებას მოვახმართ საქონელს—ბო-სელში, კომბოსტოს—ბაღში, ყანას—მინდორში, თვეზაობას—წყალში, —მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი შვილები უყურადღებოდ იქნებიან დატოვებულნი სახლში. ეგრევე უყურადღებოდა დატოვებული და მივიწყებულია ჩვენგან სიმართლე ცხოვრებაში. ამისთვისაა რომ ჩვენი ცხოვრება ესე სამძიმოა, რომ ყველაფერი თითქოს ვერ არის კარგად.

გასინჯეთ აბა ცხოვრება თვით განათლებული ხალხებისა. რა მაღლა სდგას მეცნიერება! რა გო-ნიერული კანონებია! რანაირი სიმდიდრე მიდის იმათ ხელში! ცხოვრებაში-კი სრული უწევებაა. ერთი ხალხი ავიწროვებს და ჰსცარცვავს მეზობლებს, ოქროსა და ალმაზების გულისავის დანაშაულობით ღვრის ძმის სისხლს. მეორე შეიარაღებული თავიდ-გან ფეხებამდის, როგორც ზღარბი, ფოლადის ჯა-გარით, დავიწყებია ქრისტეს მცნება სიყვარულისა და შენდობისა, გზავნის წარმართებთან თავის ჯა-რის კაცებს, რომ დასწან ყოველივე, სჩევლიოტონ და ჰკუწონ დაუნანებლივ. სხვა მხარეში სხვა და სხვა ხალხები ჰგლეჯავენ ერთმანეთს, როგორც მხეცები. სხვა ადგილს მტრულად განწყობილი პარტიები ხმარობენ ყოველივე სისაძაგლეს და და-ნაშაულობას, ოღონდ აჯობონ მოწინააღმდეგეს. ყველგან ჩხუბია, სიძულვილი და ძალმომრეობა. მიზეზი ერთია: არ არის სიმართლე ხალხში. სხვა ყველაფერი არის, მაგრამ არ არის კაცში სიმართლე, არ არის მშეიღობა და თანხმობა ცხოვრებაში. ჩვენ შიაც არ არის უკეთესობა.

სახარება მოგვითხრობს, როგორ მოვიდნენ ერთხელ იგსოსთან ვინმე კაცები და უამბეს მას გალილეველებზე, რომელთა სისხლიც პილატემ შერია მსხვერპლო მათთა. მიუგო იესო და რქვა მათ: „ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ევნო მათ? გეტყვი ოქვენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ. ანუ იგი, რომელ ათვრამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა, და მოსწყვიდნა იგინი. ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვიდრ არიან იერქალიმს? გეტყვი თქვენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანთ, ყო-ველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.“ (ლუკ. 13,1—5),

ეს სიტყვები ჩვენ შესახებაც ითქმის. სხვა ხალხები ცუდად სცხოვრობენ, მაგრამ ისინი ჩვენ-ზე ცოდვილები არ არიან. თუ არ შევინანებთ, — ყველანი ეგრეთვე დავიღუბებით.

რაც დრო მიდის, ხალხი თან და თან უფრო დარიბდება; ცხოვრება უფრო ძნელდება. მოსავალი ისე აღარ მოდის; სამუშაო ცოტაა. ყველა ეს ხდე-ბა იმისთვის, რომ ჩვენ არ ვეძებთ პირვე-ლად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა.

პირიქით, ჩვენ პირველად იმას ვეძებთ, რაც შემ-  
დეგ უნდა შეგვეძინოს. ჯერ ვაშლის ხე უნდა დარ-  
გო და მერე უცალო ვაშლებს; ჩვენ-კი ხარბად და  
საჩქაროდ ვეძებთ და ვკრეფავთ ვაშლებს და ვფიქ-  
რობთ, რომ ახალი ვაშლის ხე თავის-თავად ამოვაო.

გასინჯეთ აბა როგორ ექცევა ხალხი დედა-  
მიწას. იმას ყოველნაირად სცარტვავს და იკლებს. მსუქან შავ მიწიან მინდვრებს ხნავენ და ხნავენ  
დაუსვერებლივ, სანამ ძალას არ გამოაცლიან და  
სანამ მიწა ნაყოფს აღარ მოსცემს. მაშინ მიაგდე-  
ბენ ამ მიწას და სხვა ადგილს მოჰკიდებენ ხელს  
და იმასაც ასე ექცევიან.

ტყეები ხომ დაუნანებლივ იჩეხება. სადაც ამ  
ცოტა ხნის წინათ აყრილი მშვენიერი ხეები იდგა,  
ეხლა იქ ნაფოტსაც ვეღარ იშოვი. გაკაფული  
ტყეებისაგან წყლები პატარავდებიან, მთელი ადგი-  
ლები ქვიშით იქცება. თვეზე იქერენ მტაცებლობით.  
თითქოს მეთევზები-კი არ მოსულან სათევზაოთ,  
არამედ ყაჩაღები გასაცარცვად. გამოათრევენ  
წყლის ნაპირს თვეზს, ტყუილ უბრალოდ ის იმოდენა  
თვეზი ლპება და ფუჭლება იქ, და ხდება სამწუ-  
ხარო ნიშნად ადამიანის მტაცებლობითი ყაჩაღო-  
ბისა ბუნებაში. რისთვის არის ყველა ეს?—  
იმისთვის რომ არ არის ხალხში სიმართლე. თუ  
რომ ხალხი სცხოვრობს არა სინიდისით, არამედ  
გაუმაძლარის მუცლით, თუ რომ კაცი კაცისათვის  
მხოლოდ მგრელია, მაშინ, რა თქმა უნდა, იგი ბუ-  
ნების მონაცემსაც მგლურად მოეკადება: მაგლი-  
ჯავს, საცა მოასწრობს, საუკეთესო ნაჭერს, და  
გაიქცევა ახალ საშოგარზე. თუ ხალხს სიმართლე  
არა აქვს გულში, მაშინ იგი უყურება ცხოვრებას,  
როგორც რაიმე საზოგადო გასაცარცვს. ვინც ვის  
მოერევა, ის იმას დასჩაგრიავს. ხალხს არ ესმის,  
რომ მთელი ქვეყნიერება არის ერთი განუსაზღვ-  
რელი ღვთის ტაძარი, რომ ადამიანის ცხოვრება  
მთლიად ღვთის-მსახურება უნდა იყვეს, მსახურება  
ღვთისა სულითა და ქეშმარიტებითა, რომ კაცის  
გული არის წმიდა წმიდათა, ღვთის. ტრაპეზი, სა-  
დაც, როგორც კანდელში, ღლე და ღამ გაუქ-  
რობლად უნდა ენთოს და ანათებდეს ღვთის სი-  
მართლე. ნეტარ-იყენენ, როგორნი ეძებენ ამ სი-  
მართლეს, როგორც მშიერი ეძებს პურსა; ისინი  
იპოვიან მას და გაძლებიან მითი.

მღვ. ითანე ლუკიანოვი.

### ზურნალ-გაზეთებიდან

მღილარია შინაარსით „ფასკუნჯაში“ და დეკემ-  
ბრის ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია მშვე-  
ნიერი პოემა ა. შანშიაშვილისა — „ცხადი სიზმა-  
რი“. ამავე ნომერშია ლექსები დუტუ მეგრელისა,  
ბაჩანანასი, სილოვანისაა ნ. ლომაურისა, წერი-  
ლები, ი. ფანცხავასი, კ. აბაშიძისა, გრ. რობაქი-  
ძისა, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა.

ი. ფანცხავა თავის წერილში აკვევს აკაკის  
პოეზიის ძირითად და ნიშნობლივ თვისებას — ნაღვ-  
ლიანობას. იგი ამბობს:

„ნაღვლიან მდუღლარების“ ერთი საუკეთესო  
წარმომადგენელი არის აკაკი. აკაკიმ ეს ნაღვლია-  
ნობა თავის ჩანგის მარადის სასიმღერო კილოთ  
გაიხადა. მას თითქმის ერთი სიტყვა, ერთი ლექ-  
სიც არ წასცდენია, ერთი პოემაც არ მოეპოვება,  
სადაც ეს კალო ნაღვლიანობისა არ იყოს შიგ  
ჩართული ჩაგვირისტებული. „ჩემი ჩანგი, ტკბი-  
ლათ არ გიმღერია“ — სევდა-ნაკრავი წამოიძახებს  
მგლისანი. მან კარგად იცის, რომ ეს „ნაღვლია-  
ნობა სარკეა დღევანდელი ჩვენი ბედის“. ეს ბედი  
მას ინიციებს საშინელ „ჩუმათ ტანჯვას“, რომლის  
გასაქარებლად უჯობს ცრემლი ღვაროს, თუმცა  
იცის, რომ ცრემლი მამაკაცს შეარცხვენს, არ  
შეშვენის. მგლისან ნაღვლიანობის წარმომშობელი  
და მასაზრდოვებელი დღევანდელი ბედისწერა  
შხამავს მის ჩანგს, მისს სიმღერას. ჩემი ჩანგიო,  
იტყვის საშინელი გულის ტკენით მგლისანი, — სამა-  
რის კარზე ეღერს და ეს ეღერა არის მოთქმა და  
ზარიო. გულს ის უფრო უსერავს, რომ მას კარ-  
გათ აქვს ნაგრძნობი და შეგნებული მოელი მშვე-  
ნიერება „ტკბილ ზევსური“ ხმისა. ის კი არა. ეს  
უკანასკნელი ხმა სწორეთ იმისი სფერაა, მისდამი  
კუთხინილი და ზეგარდმო შთანაბერი ჰანგია. მაგ-  
რამ ეს ჰანგი უკვე დაიმონავა „ნაღვლიანმა მდუ-  
ღლარებამ“ და ეს მარადის მას ცრემლებს იფრქვე-  
ვიებს. „ტკბილ ზევსური“ დიალი ჰანგი კი მხო-  
ლოდ „ხანდახან, ათასში ერთხელ წაცდება“. მაგრამ ეს  
ისეთი დიდებული ჰანგია, რომ იგი  
მგლისანსაც და მსმენელსაც მოგვრის ხოლმე დიდ  
სიამეს, თუმცა წამითს და ხან-მოკლეს! ამ ტკბილ  
ზევსურთან ერთად მგლისანმა შეიმუშავა და შეით-  
ვისა „მწარე ზარის“ ხმაც. როგორიც მას, ვით  
მარადის მყოფ ჭირისუფალს, უფრო შეშვენის. ამ  
ორ გვარმა კილომ ეღერისამ წარმოშობა აკაკის

ორ-ხმოვანი ჩანგური, მართლაც, მგოსანი ბუნებასა და ზეცას ტკბილ ზევსური ხმების საელერად დაუნიშნავს, ეს მადლი მისთვის ზენაარსს უხვათ შთაუბერია და ამ ღროს კი „დღევანდელი ჩვენი ბედი“ მას იძულებულ ჰყოფს უალრესათვე განავითაროს, „მწარე ზარის“. ხმა, რადგან მხოლოდ ეს ხმა შეშვერის ჭირისუფალს. ასე ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული ჩვენი მგოსანი, რომლის ხელთ არის „საიდუმლოება უღერისა“. იგი „ხან ლხენის, ხან მწუხარების ჰანგზე აულერებს თავის ჩანგურს. ამ ჩანგურის „ზეციური ხმა“ „ორ-ხმოვანათ გამოისმის“, რადგან ორგვარია მგოსნის გრძნობაც“.

ი. ფანცხავის აზრით, „აკაკის პოეზიის საგანი მხოლოდ და მარტო სამშობლოა. იგი არ არის ერთი რომელიმე წრის, წოდებას მლერალი, იგი „მგოსანია ერისაო“.

იმავე „ფასკუნჯში“ კიტა აბაშიძე აღნიშნავს აკაკი წერეთლის ოპტიმიზმს და ამბობს:

„აკაკი წერეთლის ერთ საუკეთესო თვისება-თავანს ცხოვრების შეხარულება შეაღებს. ეს გან-საკუთრებული თვისებაც არის ჩვენის ლიტერატურული ფორმისა და მთლიან ჩვენის ერისა. ამდენ ტან-ჯვასა და ვაებას ჩვენმა ერმა სწორედ იმიტომ გაუ-ძლო, რომ ყოველთვის იყო: „იგივ მხნე, იგივ მლერალი, მოყვარე თავის მიწისა“. რა უბედურებასაც არ უნდა განიცილეს იგი, „მლერასა“ და, შავვის ბედის ბრძოლას“ არასოდეს არ დააგდებს.

ასეთია ჩვენი ერის დიდებული მგოსანიც. მისი „გული მკვდარია“, „ნახევარი ცხოვრების გზა გაულევია, სიტკბოზედა მწარე მეტი დაულევია“ მაგრამ მაინც „სულ იკინის, არ სტირის“, იმიტომ რომ მისთვის პირადი მწუხარება არ არსებობს, თუ ხალხშია, ძალით ღირებულს ადარებს, და მოწყვე-ნით მაზედ წტერს არ ახარებს, რომ, რა სოქვან მახედ: „რა ოხერია“.

რასაკვირველია, აქ მეწვრილმანურ უდარდე-ლობაზედ არ არის ლაპარაკი, არამედ იმ სიმწნე-ვისა და შეუდრეველობის შესახებ, რომელიც რუს-თაველისაგან აქვს ნაანდერძევი ჩვენს ლიტერატურას“.

\*

7 დეკემბერს გამოვიდა ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“. ამ ალმანახში საყურადღებო წე-რილია მოთავსებული გრ. რობაჭიძისა — „აკაკის ბუნება“. მოგვყავს იგი სრულად:

„მეტად რთულია აკაკის ბუნება: მასში იღუ-მალ არიან ხლართულნი მისი პიროვნება და მისი შემოქმედება. მართალია აკაკის პიროვნება და შე-მოქმედება სხვა და სხვა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისინი ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელ არიან.“

აკაკის ბუნება ქართველების ბედის ნატეხია. ყოველი ერი წარმოადგენს სულიერ რეალობას: იდეა პლატონისა, მონადა ლეიბნიცისა. იგი ხორ-ციელდება, ესე იგი, ვითარდება, სრულდება, ის-ტორიას განიცილის. ამ პროცესში იგი თვალს იხს-ნის, ცნობას აღწევს, ენას იღვამს, მეტყველებას იღებს. ეს არის ერის პირველი დაბადება, გარნა, შესაძლებელია, რომ მან დროებით მიიძინოს: მაშინ ერს თვალი ებინდება, ცნობა ეყარგება, ენა უ-ლუნგდება, მეტყველება უმნელდება. ხანგრძლივ ძილის შემდევ ერი იღვიძებს: თვალს ისევ ახელს, თავს ისევ სცნობს, ენას ისევ ამოძრავებს, ისევ მეტყველებს. ეს არის მისი მეორე შობიერება.

აქ შეიძლება აიხსნას აკაკის ბუნება. მოვიყვა-ნოთ საგულისხმიერო პარალელები: აკაკი და პუშ-კინი.

პუშკინი რუსობის პირველ დაბადების შვი-ლია; აკაკი—მეორედ დაბადებისა.

პუშკინი მოვალინა რუსეთს მაშინ, როცა რუსობის სული დილის ბინდში იყო ხევული: აკაკი აღმოჩნდა მაშინ როცა ქართველობა საღამოს ბინ-დით იყო მოცული.

პუშკინამდე რუსობის სულს მზე არ უნახავს, მაგრამ გრძნობს კი, რომ ამოვა და პუშკინიც ელოდება მის ბრწყინვალე ამოსვლას; აკაკიმდე ქართველობის სულს მზე კიდევც უნახავს და აკა-კიც სევდით ელის მის მეორე ამოსვლას.

პუშკინამდე რუსთა ძალა ბარბაროსობაში იმყოფებოდა: მან პუშკინიდან იშვა თავი კულტურისაკენ; აკაკიმდე ქართველთა ძალას უკვე უგრძენია თავი კულტურიანი: აკაკიდან მას უნდა მხო-ლოდ განაგრძოს იგი.

პუშკინი პირველი სიტყვაა ახლად გამოსულ ხალხისა; აკაკი მეორე სიტყვაა გაღვიძებულ ხალ-ხისა.

პუშკინი მომავალს სიხარულით შესცემრის; აკაკი სევდით გასცემრის წარსულ ხანას.

პუშკინის ჩანგის ჰანგი შეება-ლხენაა; აკაკის სტვირის მოტივი ნაღველი და კაეშანია.

პუშკინის ჩანგი უღერს და მლერს; აკაკის სტვი-რი მოსთქვამს და სტირის.

პუშკინის მუხა ლალია: მას ბეჭრი აამ ახა-  
ლებს, — ამისთვის იგი მრავალფეროვანია; აკაკის  
მუხა ნაღვლიანია: მას ერთი აამ აწერებს, — ამისა-  
თვის იგი ერთფეროვანია.

აქ სწყდება პარალელი. ის „ერთი აამე“, რაც  
აკაკის აწერებს, არის სწორედ ამხსნელი მისი ბუ-  
ნებისა. ქართველობა თვის მეორე შობიერებაში  
ტრაგიზმს განიცდის — და მისი ლვიძლი შვილი აკაკი  
ამ ტრაგიზმის საგულისხმიერო მატარებელია. ქარ-  
თველობის მებრძოლი სული აკაკის ბუნებაში გან-  
სახიერდა, ხოლო ამისთვის მისი პიროვნება ქარ-  
თველთა სახის მსხვერპლად იქცა. აქ არის ჩამარ-  
ხული საიდუმლოება აკაკის პიროვნებისა და მის  
შემოქმედებისა: აკაკი ნამდვილი პიროვნებაა მხო-  
ლოდ მაშინ, როცა ჰქონის, ამ საიდუმლოებას მხო-  
ლოდ მომაყალი გახსნის.

ახლა კი უნდა ითქვას: შესწყვიტონ ლაპარაკი  
აკაკის პიროვნების შესახებ „თავისუფლად“ მსა-  
ჯულებმა, თორემ ისტორია მათ უფრო გასაჯავს!

ჩვენ ვდღესასწაულობთ აქაკის იუბილეს არა  
მარტო იმიტომ, რომ აკაკი პოეტია (როგორც ეს  
უშრავლესობას ჰქონია), არამედ იმისთვისაც, რომ  
აკაკი ქართველობის იდუმალი თან შეტყველი სა-  
ხეა.

ქართვლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნო-  
ბაშიაც სდევს.

ერთ ნომერში ყველა იმის აღნიშვნა, რაც  
იუბილეს გამო დაიწერა, შეუძლებელია. ამ დღეს  
გამოვიდა სხვა და სხვა აღმანახები და წიგნაკებიც.  
რუსულმა ვაზეთებმაც უძლვნეს წერილები მხცოვან  
პოეტს. („დროება“)

## ახალი აშშები და შენიშვნები.

\* \* 12 დეკემბერს ტფ. სასულიერო სემინა-  
რიის სადგომში დაიწყო კრება ქართლ-კახეთის სამ-  
ღვდელოების დეპუტატებისა. გამოცხადდა 38  
დეპუტატები. პირველ დღეს კრებაშ თავმჯდომა-  
რედ აირჩია მღვ. ს. რცხილაძე და ორი მღივანი;  
გუშინ კი შეუდგა განსახილეველ საქმეთა გარჩევას:  
კრება ერთ კვირამდე მაინც გასტანს.

\* \* როგორც „ბაკ. ეხო“-ს პეტერბურგიდან  
დეპუტით ატყობინებენ, ოდესელ „კეშარიტ რუ-

სება“ სელმწიფესთან გაუგზავნიათ უქვეშეცრდობის  
ლესი პეტიცია, რომელშიც თხოულობენ კავკასიის  
ნამესტნიკის გადაყენებას.

\* \* გენერალი შატრილვი და ჭეშმარიტი რუსები.  
როგორც იციან, სახელმწიფო სათაბაბიროში ამ  
უმაღ ირჩევა შეკითხვა კავკასიის საქმეების შესა-  
ხებ. შეკითხვა სათაბაბიროში მემარჯვენებმა შეი-  
ტანეს. შეკითხვის შინაარსი უკვე დაიბეჭდა ჩვენს  
გაზეთში. შეკითხვამ მემარჯვენებისა ბევრი რამ  
გამოარკვია. მათ შორის კავკასიის ნამესტნიკის  
თანაშემწეს გენერალ შატრილვის, როგორც „რუს-  
სლოვო“ გადმოგვცემს, საყურადღებო ცნობები  
მიუწოდებია სამინისტროსთვის მემარჯვენეთა შე-  
სახებ. შატრილვის სამინისტროსთვის მიუწერია:  
ბოლო ღრას „კეშმარიტ რუსთა კავშირისაგან“  
აუარებელი წერილები მომდინადა, მთხოვდნენ  
მფარველობას, რადგან არც ერთ წერილზე პასუხი  
არ გავეცი, პურიშევიჩი „შავრაზმელების“ ლი-  
ტერატურა უკანვე დაუბრუნე, რადგან ეხელმძღვა-  
ნელობდი მინისტრის ცირკულიარით, რომლითაც  
სამხედრო პირებს აკრძალული აქვთ პოლიტიკაში  
ჩარჩო. ამასთან პირადად მე მომხრე არა ვა  
მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეორეზე ამემხედრე-  
ბინაო. შატრილვის აგრეთვე უყურადღებოდ დაუ-  
ტოვებია „მთავარ ანგელოზ მიხეილის კავშირის“  
წერილი, რომლითაც მას ნამესტნიკის შესახებ  
ცნობები მოუთხოვნია. დასასრულ შატრილვის სა-  
მინისტროსთვის უთხოვნია. ან სამსახურიდან და-  
მითხოვთ, ან გამანთავისუფლეთ კერძო პირების  
შეკითხვებისგან, რომელიც ჩემს სამსახურში ერქ-  
ვიან.

\* \* ადმინისტრაციის მთხელეენი სამართალში.  
13 დეკემბერს ვწერდით, რომ სენაკი მაზრის უფ-  
როსი მიტკევიჩი სამართალში მისცეს. როგორც  
„ტ. ლ.“ გადმოგვცემს, მიტკევიჩი სამსახურიდა-  
ნაც დაუთხოვთათ. მას პბრალდება უფლების გადა-  
მეტება, ცრუ მოხსენების წარდგენა, ფულის ძა-  
ლით დატყუება და სხვა. იმასთან ერთად სამარ-  
თალში მიუციათ საპოლიციო დარაჯთა ყოფილი  
აფიცერი, ცნობილი კ. ცომაია, რომელსაც მექრ-  
თამეობა და სხვა ამისთანა საქმეები პბრალდება,  
საკვირველია ქრთამი, რომ არ აიღონ მაშ როგორ-  
ლა იცხოვრებენ ასე მდიდრულად?!.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის სამართლებაში და კუთილურებაში.

~~სახარება იოანესი.\*)~~

(დასასრული).

მეოთხე სახარების დამწერად წმიდა გვკლესია სთვლის იოანე მოციქულს, ღვთის მეტყველს. — იოანე მახარობელი იყო შვილი გალილეის მეოვეზურის ზებდესი და სალომესი 7); ეს სალომე იყო ერთი იმ დედათაგანი, რომელნიც მსახურებდნენ იესოს ნაყოფთაგან მათთა და მისი სიკულილის შემდეგ მოვიდნენ საფლავზე და მიიტანეს ნელსაცხებელი 8); ამ კეთილმსახურს ოჯახში აღზრდილი იოანე მალე დაემოწავა იოანე ნათლის მცემელს, რომლის ჩერებითაც შეუდგა იესოს ანდრია მოციქულთან ერთად 9); მალე იოანე სულ სამუდამოდ შეუდგა ქრისტეს და იყო მასთან განუშორებლივ ათორმეტ მოციქულთა რიცხვში 10); იოანე ითვლებოდა იესოს საყვარელ მოციქულად 11); და პეტრე და იაკობ მოციქულებთან ერთად იყო მოწამე იესოს შესანიშნავ საქმეთა, მაგალითად, იგი დაესწრო იაიროსის ასულის აღდგინებას, 12); ფერისცვალებას 13); და უკანასკნელს ლოცვას გეთხამინის მტილში; საიდუმლო სერობის დროს იოანე მოციქული შეირდნებილიყო იესოს წილთა 14); და სიკვდილის წინ იესომ მას ჩაბაძრა თავისი დედა მარიამ ქალწული 15). — ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, იოანე პეტრე მოციქულთან ერთად, სხვებზე პირველად მიიღდა მაცხოვრის საფლავთან 16); მაცხოვრის

7, მათე 4,21; 27,26; მარკ. 15,40; 1,20; 8» ლუკა; 8,3; მარკ. 16,1; 9» იოანე 1,35—41; 10» მათე 4,21; 10,2; 11, იოანე. 13,23; 12, მარკ. 5,37; 13» მათე 17,1; 14, იოანე 13,23; 15» იოანე 19,26—27; 16» იოანე 20,2;

\*) ი. მწუმარებელი № 19—20 1908 წ.

ზეცად ამაღლების შემდეგ იოანე მოციქული ჰქალაგებდა იესოს სჯულს იერუსალიმში 17);

თანახმად გადმოცემისა, იოანე მოციქულმა იერუსალიმში დაპყო კუდილა ღვთის მშობლის მიძინებამდე; მერე კი წავიდა მცირე აზიაში, ქალაქს ეფესოში და იქ ჰქალაგებდა მაცხოვრის მოძღვრებას; აქედან იმპერატორმა ნერონმა იგი გადასახლა პატმოსის კუნძულზე; მალე აქედან ისევ ეფესოში დაბრუნდა წმ. მოციქული და იქ იმყოფებოდა სიკვდილამდე. იოანე მოციქული სულ ცველის სიყვარულს უქალაგებდა. რადგანა მოხუცებულობისა გამო წმ. მოციქულს უკანასკნელს დღებში ბევრი ლაპარაკი ამ შეეძლო. ის ერთსა და იმავესდა იმეორებდა: „შეილნო იყვარებოდეთ ურთიერთას“ ამიტომ ეკკლესია იოანე მახარობელს უწოდებს სიეკარულის მთციქულს. გარდა სახარებისა წმ. მოციქულმა, დაწერა გამოცხადება და სამი ეპისტოლე.

გარდმოცემით ვიცით, რომ პირველი საუკუნის დასასრულში, მცირე აზიაში, სადაც სცხოვებებდა წმ. მოციქული იოანე, გამნდენ მწვალებელნი, რომელთაც ეწოდებოდათ გნოსტიკები; ესენი უარყოფდნენ იესოს ღვთაებას, მის ერთ არსებას ღმერთ მამასთან, სთვლიდენ მას უბრალო ქმნილებად და უარყოფდნენ განხორციელების სანამდვილეს. მისი გამო მართლმორწმუნებებმა სთხოვეს იოანე მახარობელს დაწერა მწვალებელთა პირის დასაყოფად და სამხილებლად თვისი ქადაგებანი, რომლებიც არღვევდნენ მწვალებელთა ცრუმორწმუნებას; მით უმეტეს, რომ სამს სახარებაში, რომლებიც გავრცელებულ იყნენ მცირე აზიაში, არ მოიპოვებოდა პირდაპირი დარღვევა ამ ცრუ მოძღვრებისა. წმ. მოციქულმა მოითხოვა სამი სახარება, დაამოვწმა მათი სინამდვილე და თვითონაც დასწერა თვისი სახარება და ამათი შეავსო მათი ნაკლი.

ამ რიგად, მეოთხე სახარება დაწერილია წმ. იოანე მოციქულისგან, პირველი საუკუნის მიწურულში, ქ. ეფესოში შესახებლად იმისა, რაც აკლია სამს პირველს სახარებას და გნოსტიკებთა სამხილებლად.

სასიათი და შინაარსი წმ. იოანეს სახარებისა. იოანეს სახარება ბევრით განირჩევა პირველი სამი სახარებისა ბევრით განირჩევა პირველი სახარებებში მეტნაწილად მოთხოვდილია იესოს სასწაულები, მაშინ. როცა იოანეს სახარებაში მოყვანილია მხოლოდ შეიღი სასწაული

17» საქმე მოც. 3,1; და შემდ. 8,4. და შემ.

მაცხოვარისა, მაგ. სასწაული ქორწილზე კანაში 1); ბ) მეფის კარის კაცის ძის განკურნება 2); გ) განკურნება ოცდა თვრის მეტი წლის უძლურისა ცხოვართა საბნელთან 3); დ) ხუთი პურით განძლომა ხუთი ათასი კაცისა და ე) წყალზედ სვლა 4) ვ) შობილგან ბრძის განკურნება 5); და გ) ლაზარეს აღდგინება 6); ორი ამ სასწაულთაგან, სახ. ხუთი პურით განძლომა ხალხისა და წყალთაზედა სვლა სხვა სახარებებშიაც იხსენება. პირველს სამს სახარებაში სასწაულები წარმოადგენენ ღვთის მოწყალების საქმეს, მეოთხე სახარებაში კი ნამეტნავად სასწაულების შემდეგ წარმოთქმულ საუბრებიდან სჩანს, რომ სასწაული მოყვანილია იქსოს ღმერთობის დასამტკიცებლად. იქსოს ქადაგება პირველს სამს სახარებაში მოყვანილია მოკლე დარიგების სახით, რომელსაც ყველანი მდუმარებით ისმენენ, აქ კი ქადაგებას აქვს საუბრის ხსნითი; იქსო ესაუბრება კერძო პირებს, მაგ. ნიკოდიმოსა, ქალს სამარიტელს და ხალხს მაგ. ურიებს მკვდართა აღდგომის შესახებ, ცხოვრების პურზე და სხვა; მაცხოვრის ქადაგებაში პირველი სამი მახარებელი ყურადღებას აქცევენ უმთავრესად გარეგანს მხარეს მაცხოვრისას, მეოთხე იოანნე მახარებელი კი მისს შინაგანს მხარეს; ამიტომ იოანნე მახარობლის სახარებას უწილებენ სეჭიერ სახარებად. მაცხოვრის მოღვაწეობა იოანნე მახარობელს გაყოფილი თანახმად მისი მოგზაურობისა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე, სამ ნაწილად: ასე რომ მხოლოდ ამ სახარებით ვტყობილობთ ჩვენ, რომ მოღვაწეობა მაცხოვრისა ამ ქვეყანაზე გაგრძელდა მხოლოდ სამი წელიწად; პირველი სამი მახარებელი კი ისე მოგვითხრობენ იქსოს მოღვაწეობის ამბავს, თითქო იგი გაგრძელებულიყოს ერთი წელიწადი, მათ არა აქვთ გარკვევით აღნიშნული დრო-უამი იქსოს მოღვაწეობისა. პირველი სამი მახარებელი აღგვიწერენ მაცხოვრის მოქმედებას მეტნაწილად გალილიაში, სადაც სცხოვრებდა დაბალი, უსწავლელი ხალხი; ამიტომ ენა ამ სახარებათა მარტივია

და მდაბიო. იოანნე მახარობელი კი აღგვიწერს მაცხოვრის მოქმედებას მეტ ნაწილად უჩინასტანში, დედაქალაქს იერუსალიმში, სწავლულ ფარისეველთა, სჯულის მეცნიერთა და მწიგნობართა შორის, ამიტომ ენა ამ სახარებისა უფრო ლიტერატურული და განსხვავებულია. იოანნე მოციქული გადმოგვცემს ამაღლებულს სწავლის იქსო ქრისტეს ღვთაებაზე, მასს ერთარსებაზე ღმერთთან, ღვთის სიტყვის წინასაუკუნეთა გიებაზე, ამიტომ ეკკლესიამ მიანიჭა მას სახელწოდება ღვთის-მეტეველის.

შინაათსი მეფოთხე სახარებისა. სახარება იოანნეს შეიცავს 21 თავს. სარარება იწყება ამაღლებული სწავლა-მოძღვრებით იქსოს ღვთაებრივობაზე და მისს წინასაუკუნეთა გიებაზე; შემდეგ მოთხრობილია ამბავი იოანნე წინამორბედის ქადაგებისა და იქსოსგან პირველ მოწაფეთა მოწვევისა (თ. 1), სასწაული კანას გალილიასა, ქორწილზე (თ. 2). საუბარი მაცხოვრისა ნიკოდიმოსთან, მაღლით მეორე შობაზე და განკურნება მეფის კარის კაცის ძისა (თ. 3), საუბარი სამარიტელ ქალთან ღვთის თაყვანისცემაზე, სულით თაყვანისცემაზე სულით და კეშმარიტებით (თ. 4), განკურნება ავაღმყოფისა ცხოვართა საბანელთა და საუბარი იქსოსი ურიებთან მისს ღვთაებრივს ღირსებაზე (თ. 5), განძლება ხუთი ათასი კაცისა ხუთი პურით და ორი თევზით, სელა წყალზე და საუბარი ურიებთან ცხოვრების პურზე (თ. 6), საუბარი ურიებთან იქსოს მესსიურს ღირსებაზე (თ. 7—8), შობილან ბრძის განკურნება (თ. 9), იგავი კეთილს მწყემსზე (თ. 10), ლაზარეს აღდგინება მკვდრეთით (თ. 11), ფერხთბანა და საიდუმლო სერიბა (თ. 12), გამოსათხოვარი საუბარი იქსოსი მოციქულებთან და ლოცვაგეთსამანის მტილში (13—17), ვნება და სიკვდილი მაცხოვრისა (თ. 18—19), მკვდრეთით აღგომა და გამოცხადება იქსოსი (თ. 20—21).

ა. წ.

1) იოანნე 2,1—11; 2) 4,46—54; 3) 5,1—8; 4) 6,1—21; 5) თ. 9; 6) თ. 11;

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 15 დეკემბერი 1908 წ.

სტამბა ურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.